ქალაქ რუსთავის განვითარების სტრატეგია

2026-2037

2025 წელი

*სტრატეგია შემუშავებულია „რუსთავის მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრის“ მიერ

სარჩევი

1. **შესავალი** 3

2. **სიტუაციის ანალიზი** 6

   რუსთავის ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები 9

   ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 13

   კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 14

   ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი 18

   გამოწვევები 20

3. **ქალაქ რუსთავის განვითარების SWOT ანალიზი** 21

4. **სტრატეგიული ხედვა** 24

5. **განვითარების პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები** 25

   პრიორიტეტული მიმართულება I: რუსთავი - მწვანე ქალაქი 25

   პრიორიტეტული მიმართულება II: რუსთავი - სტუდენტური ქალაქი 28

   პრიორიტეტული მიმართულება III: რუსთავი - ტექნოლოგიების ქალაქი 30

   ლოგიკური ჩარჩო 34

6. **სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება** 38

1. შესავალი

რუსთავის განვითარების სტრატეგია წარმოადგენს ქალაქის 12-წლიანი განვითარების ჩარჩო დოკუმენტს, რომლის მიზანია ქალაქის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, ინფრასტრუქტურული და ციფრული განვითარების გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება. სტრატეგია აერთიანებს რუსთავის მუნიციპალიტეტის სამსახურების, ა(ა)იპ-ების, კერძო სექტორის, საზოგადოებისა და სხვა მხარეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს.

დოკუმენტი შემუშავებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომით და ემყარება ქალაქის არსებული მდგომარეობის სრულ შეფასებას, გამოწვევებისა და შესაძლებლობების ინსტიტუციურ ანალიზს, ასევე გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების პრინციპებს.

სტრატეგიის შექმნა ეყრდნობა ფართო წინასწარ კვლევას, შიდა ინსტიტუციურ ანალიზსა და სხვადასხვა მუნიციპალური სტრუქტურის მუშაობისა და გეგმების შესახებ დამუშავებულ ინფორმაციას.

სტრატეგია უზრუნველყოფს რუსთავისთვის მკაფიო, რეალისტურ და შედეგებზე ორიენტირებული განვითარების ხედვის 12 წლიან პერსპექტივაში განხორციელებას.

დოკუმენტზე მუშაობის საწყის ეტაპზე, მერის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდა მუნიციპალიტეტის ყველა შესაბამისი სამსახური და იურიდიული პირები მათი ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობით. ჯგუფის საქმიანობა მოიცავდა არსებული სიტუაციის შესაფასებლად მონაცემთა შეგროვებას, სიღრმისეულ ანალიზსა და გამოკვეთილი გამოწვევების გადასაჭრელად შესაბამისი პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას. სტრატეგიის მონაწილეობითი წესით შემუშავება უზრუნველყოფილი იყო სამუშაო ჯგუფში მერის, მერის მოადგილეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორის, სხვადასხვა სოციალური და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

სამუშაო პროცესის ფარგლებში რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები, ასევე შემუშავდა წინასწარი კვლევის ფორმა/ანკეტა, რომლის საფუძველზეც თითოეულმა სამსახურმა წარმოადგინა საკუთარი საქმიანობის ანგარიში და 12-წლიანი განვითარების ხედვა. წარმოდგენილი მასალების ანალიზისა და დამუშავების შედეგად, დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციით, რუსთავის მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრმა შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი, რომელსაც თან ერთვის შესაბამისი სამოქმედო გეგმა და ლოგიკური

ჩარჩო. გარდა ამისა, შეიქმნა სტრატეგიის სპეციალური ვებ-გვერდი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მარტივად აღქმასა და სტრატეგიასთან დაკავშირებული პროცესებისა და პროგრესის ეფექტიან მონიტორინგს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და სანდოობას. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე მომზადდა სტრატეგიის ვიზუალური-საინფორმაციო ბროშურა, რომელიც ამარტივებს 12-წლიანი განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპებისა და მიდგომების ხელმისაწვდომ და გასაგებ ფორმატში წარმოდგენას მოქალაქეებისთვის. სამუშაო პროცესის ფარგლებში შესწავლილ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა ისეთი ქალაქების მაგალითზე, როგორებიცაა ვენა, ჰაიდელბერგი, ტალინი, ვალენსია და ბრატისლავა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, ადგილობრივ დონეზე განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კომპეტენციას. რუსთავის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის სამართლებრივ საფუძველს სწორედ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ქმნის, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს[1] . სტრატეგიის დოკუმენტის შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 დადგენილება „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების პროგრამის შედგენის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ". სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებულია მისი ჰარმონიზაცია შესაბამის ეროვნული დონის დოკუმენტებთან, როგორიცაა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, სახელმწიფო ბიუჯეტი და სხვადასხვა სექტორული სტრატეგიები. სტრატეგიის ფორმირება აგრეთვე განხორციელდა შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- „საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030";
- ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია;
- სივრცითი განვითარების დოკუმენტი;
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs);

[1] [1] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=80

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი 2025-2028 წლებისათვის;
- რუსთავის ჭალის ტყეების განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და ტყის აღდგენის გეგმა;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2026 წლის გეგმა.

დოკუმენტი შემუშავებულია შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

მონაცემებზე დაფუძნებული დაგეგმვა - გამოყენებულია სამსახურებისგან მიღებული სტატისტიკა, ანალიზები, ინვენტარიზაცია და შეფასებები;

ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკა - გადაწყვეტილებები ეფუძნება რეალურ საჭიროებებსა და რესურსების შეფასებას;

მდგრადობა და გრძელვადიანი ხედვა - 12-წლიანი პრიორიტეტების ჩამოყალიბება მუნიციპალური განვითარების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

მულტისექტორული მიდგომა - ქალაქის განვითარება განიხილება, როგორც კომპლექსური პროცესი, სადაც ეკონომიკა, ურბანული განვითარება, სოციალური პოლიტიკა, გარემო, კულტურა, განათლება და ტექნოლოგიები ურთიერთდაკავშირებულია;

ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა - ყველა მოქალაქისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა;

ინოვაციური და ციფრული ტრანსფორმაცია - თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა მუნიციპალური სერვისების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სტრატეგიის საბოლოო პროექტის განხილვის მიზნით ასევე გაიმართა საჯარო კონსულტაციები. გამართული განხილვების შედეგად მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია საჯარო კონსულტაციების ანგარიშის დოკუმენტში, ხოლო მათი გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებები შეტანილია დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში.

სტრატეგიის დოკუმენტი შედგება ხუთი თავისგან. I თავი მოიცავს მუნიციპალიტეტის სოციალური, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, ჯანდაცვისა და სოციალური, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვითი და მმართველობითი მდგომარეობის სიღრმისეულ ანალიზს. II თავი წარმოადგენს დოკუმენტის სტრატეგიულ ნაწილს - მასში ჩამოყალიბებულია მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი ხედვა, პრიორიტეტები,

მიზნები და ამოცანები, ლოგიკური ჩარჩო და რისკების შეფასება. III თავი აღწერს სტრატეგიის განხორციელების მექანიზმებს, მონიტორინგისა და შეფასების სისტემას. IV თავი ასახავს სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესსა და მექანიზმებს სტრატეგიის განხორციელების პერიოდში.

2. სიტუაციის ანალიზი

ზოგადი ინფორმაცია

ქალაქი რუსთავი ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ცენტრია. იგი მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე 41,5 ჩრდილოეთის განედსა და 45.2 აღმოსავლეთის გრძედზე, საქართველოს დედაქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ზღვის დონიდან დაახლოებით 350 მეტრზე. მისი ტერიტორია 73,6 ათას კვ.კმ.-ს შეადგენს. დასავლეთიდან რუსთავს ესაზღვრება იაღლუჯის და ჩათმის მთები, ხოლო აღმოსავლეთით - გარდაბნისა და ფონიჭალის ველები. ქალაქს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროდ ჰყოფს მდინარე მტკვარი. რუსთავს ესაზღვრება გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები. ქალაქი რუსთავი დედაქალაქთან თანამედროვე საგზაო სისტემით არის დაკავშირებული. ქალაქი თბილისის ცენტრიდან 27 კილომეტრით, დედაქალაქის საქალაქო საზღვრებიდან 8 კილომეტრით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 20 კილომენტრით, სომხეთის რესპუბლიკის საზღვრიდან - 45 კილომენტრით, ხოლო აზერბაიჯანის საზღვრიდან - 30 კილომენტრით არის დაშორებული. რუსთავის მახლობლად გადის რეგიონული საკომუნიკაციო დერეფანი - TRACECA.

ქალაქის მარცხენა სანაპიროს ესაზღვრება საქართველოს ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალი და უახლოესი რკინიგზის სადგურია ,,რუსთავი". ქალაქ რუსთავის ტერიტორიას კვეთს: თბილისი-ბაქოს და თბილისი-ერევნის სარკინიგზო მაგისტრალები. ქალაქ რუსთავზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალი - ს4 ,,თბილისი - წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი").

ქალაქის სტრატეგიული ადგილმდებარეობა ქმნის ეკონომიკური განვითარების მრავალფეროვან შესაძლებლობებს. ამ შესაძლებლობების სათანადო ათვისება გაზრდის საინვესტიციო მიმზიდველობას და მნიშვნელოვნად ამაღლებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს. თუმცა, ეს შესაძლებლობები ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც გარემოსდაცვით რისკებთან (ეკოლოგიური დატვირთვა, კლიმატური გამოწვევები), ასევე ურბანული ინფრასტრუქტურის გადატვირთვის

საფრთხეებთან, რაც გრძელვადიანი, მწვანე და გონივრული დაგეგმარების აუცილებლობას განაპირობებს.

დემოგრაფია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2024 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, რუსთავის მოსახლეობა შეადგენს 131,800 ადამიანს. გენდერული სტრუქტურის მიხედვით, მოსახლეობაში ქალთა წილი შეადგენს 53%-ს, ხოლო მამაკაცთა - 47%-ს.

რეგიონი/ მუნიციპალიტეტი	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**	**2026**	**ცვლილება 10 წ.ში**	**%**	**წილი, რეგიონში**
ქვემო ქართლი	**428**	**430**	**432**	**433**	**434**	**437**	**434**	**443**	**436**	**441**	**440**	**12**	**3%**	**100%**
ქ. რუსთავი	**126**	**127**	**128**	**128**	**129**	**130**	**129**	**132**	**127**	**132**	**130**	**4**	**3%**	**30%**
ბოლნისი	55	55	55	55	56	56	56	57	57	53	54	-1	-2%	12%
გარდაბანი	82	81	81	81	80	80	79	80	78	83	83	1	1%	19%
დმანისი	**20**	**20**	**20**	**20**	**21**	**21**	**21**	**22**	**22**	**20**	**20**	**0**	**-1%**	**4%**
თეთრიწყარო	22	22	22	22	22	22	22	23	23	20	20	-2	-9%	4%
მარნეული	105	106	106	107	107	108	107	109	108	116	117	12	11%	27%
წალკა	19	19	19	19	20	20	20	20	20	18	18	-1	-7%	4%

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი ინარჩუნებს ქვემო ქართლის რეგიონის უმსხვილესი დემოგრაფიული და ეკონომიკური ცენტრის სტატუსს, სადაც თავს იყრის ქვემო ქართლის რეგიონის მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედი (29.6%). 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაფიქსირდა მოკლევადიანი კლება, წინა წელთან შედარებით მოსახლეობა 1 600 ადამიანით შემცირდა და 130.2 ათასი შეადგინა (საქსტატი), გრძელვადიან, 10-წლიან ჭრილში ქალაქი დემოგრაფიულ სტაბილურობას (+4.1 ათასი ადამიანი) აჩვენებს.

მიუხედავად შიდა დემოგრაფიული რესურსის შემცირებისა, ქალაქი ინარჩუნებს გრძელვადიან პოზიტიურ დინამიკასა და მაღალ სიმჭიდროვეს, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ იგი არის მიზიდულობის ცენტრი რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებისათვის.

დემოგრაფიული სურათის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანი ხდება ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის, მათ შორის, ახალგაზრდა ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ეფექტური პოლიტიკის გატარება.

დიაგრამა# ბუნებრივი მატება



წყარო: საქსტატ

ქალაქ რუსთავში მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კილომეტრზე 2 134 ადამიანს შეადგენს და იგი არის საქართველოში მესამე ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ურბანული ცენტრი, თბილისისა(2 652 კაცი/კმ²) და ბათუმის (2 819.7 კაცი/კმ²) შემდეგ.

მოსახლეობის ასეთი მაღალი კონცენტრაცია მუნიციპალიტეტს სერიოზული ინფრასტრუქტურული წნეხის ქვეშ აქცევს - იწვევს ენერგომოხმარებისა და წყალმომარაგებისა სისტემების გადატვირთვას, ამწვავებს ეკოლოგიურ დატვირთვას და ზრდის მობილობის გართულების რისკებს. თუმცა, მეორე მხრივ, ეს მოცემულობა ეკონომიკურ შესაძლებლობებსაც აჩენს, ვინაიდან მჭიდრო განაშენიანება ქმნის მიმზიდველ ბიზნეს - გარემოს, ოპტიმალურს ხდის მუნიციპალური სერვისების მიწოდებას და კონცენტრირებული, მობილური სამუშაო ძალა წარმოადგენს საინვეტიციო შესაძლებლობებისათვის მნიშვნელოვან შემადგენელს.

ქალაქ რუსთავში ასაკით პენსიონერთა წილი მთლიან მოსახლეობაში 20.3%-ია, რაც ქვემო ქართლის რეგიონულ მაჩვენებელზე (20.9%) და ეროვნულ საშუალო მაჩვენებელს (22.5%) დაბალია.

მიუხედავად იმისა, რომ საქსტატი მუნიციპალურ დონეზე აქტიური სამუშაო ძალის მონაცემებს არ აქვეყნებს, ასაკით პენსიონერების შედარებით დაბალი წილი ირიბად

ადასტურებს, რომ რუსთავის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (დაახლოებით 60-65%) შრომისუნარიან (15-64 წლის) ასაკობრივ კატეგორიაში შედის.

ცხრილი: პენსიონერთა რაოდენობა და წილი მოსახლეობაში

	მოსახლეობა	**პენსიონერთა რაოდ**	**წილი მოსახლეობაში**
ქვემო ქართლი	440,058.0	91,845	21%
ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი	**130,174.0**	**26,399**	**20%**
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	53,568.0	12,914	24%
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	82,506.0	15,902	19%
დმანისის მუნიციპალიტეტი	19,571.0	4,926	25%
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	19,715.0	4,998	25%
მარნეულის მუნიციპალიტეტი	116,717.0	21,470	18%
წალკის მუნიციპალიტეტი	17,807.0	5,236	29%

რუსთავის ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები

ქალაქში ისტორიულად ჩამოყალიბებული ძლიერი ინდუსტრიული პოტენციალი განაპირობებს მის განსაკუთრებულ სტატუსს, როგორც ქვეყნის ერთ-ერთ მსხვილ ინდუსტრიულ ჰაბს. რუსთავს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში, განსაკუთრებით გადამამუშავებელი მრეწველობის მიმართულებით. ქალაქის საკვანძო ეკონომიკურ დარგს მრეწველობა წარმოადგენს. რუსთავში განვითარებულია როგორც მძიმე, ასევე მსუბუქი მრეწველობის სექტორები.

ქალაქი რუსთავი ქვემო ქართლის რეგიონის უპირობო ეკონომიკური ლოკომოტივი და ბიზნეს სექტორის მთავარი ჰაბია, რუსთავი ბიზნეს სექტორის თითქმის ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით ლიდერ პოზიციაზეა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ქალაქში **24 ათას კაცს** შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი რეგიონის ჯამის 48%-ია, მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში არც თუ ისე მაღალია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქთან სიახლოვე განაპირობებს სამუშაო ძალის მაღლ მობილობას, რაც სავარაუდოდ მნიშვნელოვნად ზრდის ქ. რუსთავის მოსახლეობის კერძო სექტორში დასაქმების მაჩვენებელს მისი ტერიტორიის მიღმა.

ეკონომიკური დინამიკაზე მიუთითებს რეგისტრირებული (29 249 ერთეული) და აქტიური (6 599 ერთეული) ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობაც, რაც რეგიონის მასშტაბით შესაბამისად 39%-იან და 36%-იან წილს შეადგენს. ასევე მაღალია რუსთავის წილი ახლად რეგისტრირებულ სუბიექტებში - 1 797 ერთეული, რაც

მთელი რეგიონში ახლად რეგისტრიბუილ სუბიეტქების 31%-ია. დაქირავებით დასაქმებულთა მაღალი წილი მიუთითებს საშუალო და მსხვილი ბიზნესის შედარებით მაღალ კონცენტრაციაზე.

ყოველი 1000 მოსახლეზე რუსთავში 51 ეკონომიკური სუბიექტი მოდის, რაც მაღალი მაჩვენებელია და რეგიონში მხოლოდ დმანისს (57) ჩამორჩება.

რუსთავი ქვემო ქართლის ეკონომიკური ცენტრია - იგი უზრუნველყოფს რეგიონში ახალი ბიზნეს სუბიექტების გენერირებასა და სამუშაო ადგილების შექმნას, თუმცა მთავარ გამოწვევად რჩება ბიზნესის მეტად გააქტიურება და საშუალო ანაზღაურების ზრდა.

ცხრილი #. ბიზნეს-სექტორის ძირითადი მონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით ქვემო ქართლის რეგიონში

	ბოლნისი	გარდაბანი	დმანისი	თეთრიწყარო	მარნეული	რუსთავი	წალკა
დასაქმებულთა რაოდენობა-ბიზნეს სექტორში (ათასი კაცი)	8	8	1	1	6	**24**	2
დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი-ბიზნეს სექტორში (ლარი)	2474	1882	1654	1481	917	**1558**	1027
რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)	6749	13318	3771	4213	15382	**29249**	2743
მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)	1545	3459	1115	810	4161	**6599**	667
ატიურ საწარმოთა წილი რეგისტირებულშო	0	0	0	0	0	**0**	0
ახლადრეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)	453	1119	309	276	1398	**1797**	366
მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი) 1.01.26	54	83	20	20	117	**130**	18
ეკონომიკური სუბიექტები 1000 მოსახლეზე	29	42	57	41	36	**51**	37

წყარო: საქსტატი, სუბიექტების სტატისტიკა - 2026წ, სხვა მონაცემები, 2024 წ

რუსთავში წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი მძიმე მრეწველობის მიმართულებები:

- მეტალურგია
- ნავთობქიმია და ქიმიური წარმოება, მათ შორის:
  - ნავთობის გადამუშავება
  - პლასტმასების გადამუშავება
  - ქიმიური ნედლეულის წარმოება
- მინერალური სასუქების წარმოება
- სამშენებლო მასალების წარმოება
- ლითონკონსტრუქციების წარმოება
- ვაგონმშენებლობა

მსუბუქი მრეწველობის მიმართულებებიდან ქალაქში აღსანიშნავია:

- ტანსაცმლის წარმოება
- საკვები მრეწველობა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და მუნიციპალიტეტის მიერ წარმოებული სტატისტკიური მონაცემების ანალიზის შედეგად, ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული კომერციული სუბიექტები ზომის მიხედვით შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 12%
- საშუალო ბიზნესი – 16%
- მცირე ბიზნესი – 32%
- მიკრო ბიზნესი – 40%

აღნიშნული განაწილება ასახავს ქალაქის ეკონომიკური გარემოს მრავალფეროვნებასა და მცირე და მიკრო ბიზნესების მნიშვნელოვან როლს ადგილობრივ ეკონომიკაში. ბოლო წლებში ქალაქ რუსთავში აშკარად გამოიკვეთა სამშენებლო სექტორის განსაკუთრებით დინამიური ზრდა. 2024 წლის მონაცემებით, სამშენებლო ინვესტიციების წილი საერთო საინვესტიციო ნაკადებში 68%-ს შეადგენს, რაც მიუთითებს ახალი საცხოვრებელი კომპლექსებისა და კომერციული ობიექტების ინტენსიურ განვითარებაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საგულისხმოა გაცემული სამშენებლო ნებართვები რაოდენობისა და ფართის მიხედვით, გაცემული ნებართვების რაოდენობა იკლებს,

თუმცა მნიშვნელოვნად იზრდება საერთო ფართი, რაც დამატებით მიუთითებს მრავალბინიანი და კომერციული დანიშნულების მშენებლობების გააქტიურებაზე.

დიაგრამა. გაცემული ნებართვები ქ. რუსთავი



წყარო: საქსტატი

აღნიშნული ტენდენცია ადასტურებს, რომ ქალაქი, მისი ისტორიული ინდუსტრიული პროფილის განვითარებასთან ერთად აგრეთვე ესწრაფვის ეკონომიკური სტრუქტურის დივერსიფიკაციისაკენ. დღეს რუსთავი აღარ ეყრდნობა მხოლოდ მრეწველობას და ქმნის მრავალმხრივი ეკონომიკური განვითარების წინაპირობებს, რაც მოიცავს მშენებლობის, მომსახურებებისა და სხვა სექტორების გააქტიურებას.

მიუხედავად იმისა, რომ დარგობრივ ჭრილში მონაცემები არაა ხელმისაწვდომი, მუნიციპალური ინდიკატორები იძლევა წარმოდგენას ბიზნესის განვითარების ტენდეციების შესახებ.

2020–2024 წლებში რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიზნეს-სექტორის ძირითადი მაჩვენებლები მთლიანობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება: გამოშვებული პროდუქცია 1,053.8 მლნ ლარიდან 2,460.0 მლნ ლარამდე გაიზარდა, ბრუნვა - 1,364.6 მლნ ლარიდან 3,458.4 მლნ ლარამდე, ხოლო საქონლისა და მომსახურების ყიდვები - 974.1 მლნ ლარიდან 2,736.0 მლნ ლარამდე.

2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, გამოშვებული პროდუქცია მცირედით გაიზარდა, თუმცა ბრუნვა, საქონლისა და მომსახურების ყიდვები და ფიქსირებულ

აქტივებში ინვესტიციები შემცირდა, რაც აქტივობის გარკვეულ შენელებაზე მიუთითებს. 2024 წლის მონაცემებით რუსთავის წილი ქვემო ქართლის მაჩვენებლებში მაღალია: დასაქმებულებში 49.2%, გამოშვებულ პროდუქციაში 40.3%, ბრუნვაში 39.2%, საქონლისა და მომსახურების ყიდვებში 41.6%, ინვესტიციებში 36.5%, ხოლო საშუალო ხელფასი რეგიონის საშუალო მაჩვენებლის 92.0%-ს შეადგენს. ეს მონაცემები აჩვენებს, რომ რუსთავი რჩება ქვემო ქართლის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ ცენტრად, განვითარების მაღალი პოტენციალით, რაც დაკავშირებულია ინვესტიციების მოზიდვის და დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესებასთან.

ცხრილი: ბიზნეს სექტორის ძირითადი ინდიკატორები, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი

ინდიკატორი	2020	2021	2022	2023	2024
გამოშვებული პროდუქცია, მლნ ლარი	1,524	2,263	2,897	2,429	2,460
ბრუნვა, მლნ ლარი	2,073	2,869	4,125	3,689	3,458
საქონლისა და მომსახურების ყიდვები, მლნ ლარი	1,589	2,109	2,930	2,875	2,736
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, მლნ ლარი	124	140	98	155	119
დაქირავებულთა რაოდენობა	18,190	20,373	20,640	21,427	21,870
საშუალო თვიური ხელფასი, ლარი	930	1,058	1,217	1,383	1,558

წყარო: საქსტატი

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

რუსთავის მუნიციპალიტეტის პოლიტიკა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების მიმართულებით ორიენტირებულია სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერასა და მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე. მუნიციპალური პროგრამები მოიცავს, როგორც სოციალურ დახმარებებს, ისე ჯანდაცვის თანადაფინანსებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოქალაქეთა ხელმისაწვდომობას აუცილებელ მომსახურებებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვთა დაცვას, ჯანსაღ ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობასა და ძალადობის პრევენციას.

2021-2025 წლების განმავლობაში სოციალური და ჯანმრთელობის დაცვისკენ მიმართული ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა - 6.7 მილიონი ლარიდან გაორმაგდა და 2025 წელს 13.1 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა

განპირობებულია ახალი პროგრამების დამატებითა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით. ამჟამად ხორციელდება 38 პროგრამა და მოსახლეობას მიეწოდება 100-მდე სერვისი.

მოსახლეობის საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებით შემუშავდა და დაინერგა არაერთი ახალი პროგრამა, მათ შორის: სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა, ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, შშმ ბავშვთა საკურორტო მომსახურების პროგრამა, შინ მოვლის თანადაფინანსების პროგრამა, პერსონალური ასისტენტის პროგრამა, ონკოპრეპარატების დაფინანსების პროგრამა (ჰერცეპტინი — ძუძუს კიბოს მკურნალობა), სკრინინგის ხელშეწყობის პროგრამა, პროფესიული სწავლება დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დროებითი საცხოვრისით მოსარგებლეთა მხარდაჭერის პროგრამა და სხვა.

საქმიანობის ეფექტიანობის გასაზომად გამოყენებულია სხვადასხვა მიდგომები, ერთი მხრივ, ესაა კონკრეტული და გაზომვადი ინდიკატორები, როგორებიცაა ბენეფიციართა რაოდენობა და მომსახურების მოცულობა, შესაბამის დროში შესრულებული საქმეებისა და გადაჭრილი პრობლემების რაოდენობის თანაფარდობა, ცხელი ხაზის შეტყობინებების რაოდენობა და ა.შ. მეორე მხრივ, მოქალაქეების კმაყოფილების დონე, მოქალაქისთვის სერვისის მიღებისას ბიუროკრატული ბარიერების არარსებობა და მაქსიმალურად მასზე მორგებული პროცესი, რასაც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესში ჩართული პირების კოორდინირებული მუშაობა.

სტრატეგია ფოკუსირებულია მოქალაქეზე ორიენტირებული სერვისების განვითარებაზე, ბავშვთა დაცვის გაძლიერებაზე, სოციალური მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაზე. საბოლოოდ, ეს მიდგომა ქმნის მდგრად საფუძველს ისეთი სოციალური პოლიტიკისთვის, რომელიც ამცირებს უთანასწორობას და პასუხობს მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს.

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

ქალაქ რუსთავში კულტურის სფერო გამოირჩევა მრავალმხრივი განვითარებითა და აქტიური ინსტიტუციური მხარდაჭერით. ქალაქში ფუნქციონირებს ოთხი სამუსიკო სკოლა და ერთი სამხატვრო სასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობასა და ახალგაზრდების ჩართულობას კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში. ასევე, ქალაქში მოქმედებს ოთარ ჩხარტიშვილის

სახელობის რუსთავის ხელოვნების გალერეა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციასა და კულტურული ცხოვრების გამდიდრებაში.

რუსთავში რეგულარულად ტარდება სხვადასხვა მასშტაბის კულტურული ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებს. მათ შორის აღსანიშნავია მუსიკალური საფესტივალო სივრცე „ოქსიგენი“, ქორეოგრაფიული კონკურს-ფესტივალი „ქართული“, მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები, ასევე მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები. აღნიშნული აქტივობები ხასიათდება მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობით და დამსწრეთა მზარდი რაოდენობით. მიმდინარეობს კულტურის სახლის რეფორმა, რომლის შედეგად შეიქმნება რუსთავის „არტ პავილიონი“ და მისი მთავარი მიზანი იქნება შემოქმედებითი ჯგუფების მხარდაჭერა საკუთარი მუსიკალური პროდუქტის შექმნის შესაძლებლობის გზით. შეიქმნება მუსიკალური სკოლის თანამედროვე ალტერნატივა ინფრასტრუქტურის მულტიფუნქციური ფორმით. ფინანსური რესურსების ზრდა ასევე ასახავს კულტურის სფეროს გაძლიერებას, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს მასშტაბური და მრავალფეროვანი პროექტები.

კულტურის სფეროს განვითარების პარალელურად იკვეთება სხვადასხვა სისტემური გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს კომპლექსურ და გრძელვადიან მიდგომას.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოძველებული კულტურული ინფრასტრუქტურა, რაც ზღუდავს როგორც სასწავლო, ისე შემოქმედებითი პროცესების სრულფასოვნად განხორციელებას. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება აუცილებელია თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და კულტურული სივრცეების ფუნქციონირების ეფექტიანობის გასაზრდელად.

ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა სახელოვნებო განათლების ერთიანი სტანდარტის არარსებობა. სასწავლებლებში სისტემური მეთოდოლოგიების ნაკლებობა აფერხებს განათლების ხარისხის ჰარმონიზაციას და მოსწავლეთათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. აღნიშნულთან მჭიდრო კავშირშია პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება, განსაკუთრებით თანამედროვე საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პრაქტიკების დანერგვის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

განსაკუთრებულ ყურადღებსა საჭიროებს ინკლუზიური განათლების განვითარება კულტურის სფეროში. მნიშვნელოვანია, რომ სახელოვნებო განათლება იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი ყველა სოციალური ჯგუფისთვის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის, რაც მოითხოვს როგორც ინფრასტრუქტურულ ადაპტაციას, ისე შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და რესურსების განვითარებას.

ქალაქ რუსთავში სპორტის სფეროს განვითარება ბოლო პერიოდში ხასიათდება პოზიტიური დინამიკითა და სისტემური გაძლიერების ტენდენციით. არსებული მონაცემების ანალიზი მიუთითებს, რომ სპორტი თანდათან ყალიბდება როგორც სოციალური და საზოგადოებრივი სფერო, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობაში, ახალგაზრდობის განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

ქალაქში სპორტული აქტივობების მზარდი მაჩვენებელი ასახავს მოსახლეობის გაზრდილ ინტერესს სპორტის მიმართ. ამ პროცესს თან ახლავს ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის ზრდაც, რაც ქმნის საფუძველს, როგორც მასობრივი სპორტის, ასევე პროფესიული სპორტის განვითარებისათვის. აღნიშნული ტენდენცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური ინტეგრაციის გაძლიერებასა და ახალგაზრდებში პოზიტიური ღირებულებების ფორმირებაზე. ყოველივე ამას ხელი შეუწყო ახალმა სპორტის სასახლის ფუნქციონირებამ, თუმცა ქალაქის მასშტაბით სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა კვლავ გამოწვევად რჩება, გამომდინარე იქიდან, რომ არსებული ინფრასტრუქტურის ნაწილი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, ზღუდავს, როგორც სპორტული პროცესების ეფექტიანობას, ასევე სხვადასხვა სპორტის სახეობების სრულფასოვან განვითარებას. შესაბამისად, აუცილებელია არსებული ობიექტების რეაბილიტაცია, ტექნიკური განახლება და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

შემდეგ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კვალიფიციური ადამიანური რესურსების უზრუნველყოფაც. სპორტული აქტივობებისა და მონაწილეთა რაოდენობის მატება ზრდის მოთხოვნას პროფესიონალ და მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებზე. ამასთან, არსებული კადრების პროფესიული განვითარების, გადამზადებისა და თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვის საჭიროება კიდევ უფრო ზრდის აღნიშნული მიმართულების მნიშვნელობას. ადამიანური რესურსის ხარისხი პირდაპირ განსაზღვრავს სპორტული პროცესების ეფექტიანობასა და შედეგიანობას.

ასევე საყურადღებოა სპორტში მასობრივი ჩართულობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სპორტით დაინტერესება იზრდება, კვლავ აქტუალურია მოსახლეობის მეტი რაოდენობის, განსაკუთრებით ბავშვებისა და ახალგაზრდების, სისტემური ჩართვა სპორტულ აქტივობებში. მასობრივი სპორტის განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა. ხელმისაწვდომობის გაზრდა, შესაბამისი პროგრამების გაფართოება და მოტივაციის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტის პოპულარიზაციას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია რუსთავში სპორტული ქალაქის მშენებლობა.

ქალაქ რუსთავში ახალგაზრდობის განვითარების მიმართულება ხასიათდება მიზანმიმართული, სისტემური და ეტაპობრივად სტრუქტურირებული მიდგომით. მუნიციპალური პოლიტიკა ორიენტირებულია ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მოტივაციაზე. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება საფეხურეობრივ მოდელს, რომელიც მოიცავს სკოლამდელ, ზოგად, უმაღლეს და არაფორმალურ განათლებას, რის საფუძველზეც ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა ეტაპობრივად განავითარონ, როგორც აკადემიური, ასევე პრაქტიკული და სოციალური უნარები. ამ პროცესის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდების პროფესიულ თვითრეალიზაციას.

ქალაქში ხორციელდება სხვადასხვა პროგრამა და პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, მათი უნარების განვითარებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას. მსგავსი ინიციატივები ხელს უწყობს ახალგაზრდების მონაწილეობის ზრდას ადგილობრივი მმართველობის პროცესებში, ასევე მათი ლიდერული და სამოქალაქო პასუხისმგებლობის უნარების განვითარებას. პარალელურად, არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული აქტივობების მიმართულებით განხორციელებული პროგრამები, მათ შორის საგანმანათლებლო ბანაკები და განვითარების პლატფორმები, ქმნის დამატებით შესაძლებლობებს პიროვნული და პროფესიული ზრდისთვის. მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდების შრომის ბაზარზე ინტეგრაციისკენ. ქალაქში ფუნქციონირებს ახალგაზრდობის სასახლე, ციფრული განვითარების სივრცე, მედიათეკა, სპორტის საგანმანათლებლო მუზეუმი.

მიუხედავად არსებული სისტემური მიდგომისა და მრავალფეროვანი პროგრამებისა, ახალგაზრდობის განვითარების მიმართულებით კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება რამდენიმე გამოწვევა. ერთ-ერთი გამოწვევაა ქალაქში არსებული ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, რომელთა სრული უმრავლესობა ვერ

აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. ამასთანავე, პრობლემად რჩება ახალგაზრდების სრული და თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა. მიუხედავად პროგრამების არსებობისა, ყველა სოციალურ ჯგუფს არ აქვს ერთნაირი წვდომა აღნიშნულ შესაძლებლობებზე, რაც საჭიროებს დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნას, ღონისძიებების ხელმისაწვდომობის გაზრდასა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფას.

ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს განათლების სხვადასხვა საფეხურსა და შრომის ბაზარს შორის კავშირის გაძლიერება. არსებული პრაქტიკა საჭიროებს გასნაკუთრებულ ორიენტაციას რეალური ბაზრის მოთხოვნებზე, რათა ახალგაზრდების მიერ მიღებული ცოდნა და უნარები სრულად შეესაბამებოდეს დასაქმების საჭიროებებს.

ახალგაზრდობის განვითარების კონტექსტში დამატებით გამოწვევას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საქმიანობის მიმართ ინტერესის შედარებით დაბალი დონე, რაც ხშირად გამოიხატება დაბალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაში. ამასთან, მსგავსი დამოკიდებულებები აფერხებს აქტიური მოქალაქეობრივი კულტურის ფორმირებას, რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიული მმართველობის ეფექტიანობისთვის.

ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი

ქალაქ რუსთავში ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით ბოლო წლებში შეინიშნება აქტიური და მასშტაბური სამუშაოების განხორციელება, რაც მიუთითებს ურბანული გარემოს გაუმჯობესებისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე. განხორციელებული პროექტები მოიცავს, როგორც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ისე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სივრცეების რეაბილიტაციას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, რაც გამოიხატება გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების მნიშვნელოვან მოცულობაში, კერძოდ, 2024-2025 წლის განმავლობაში რეაბილიტირებულია 103 603 $მ^2$ გზის საფარი. ქალაქის ცენტრალური ქუჩებისა და მოედნების მნიშვნელოვანი ნაწილი განახლებულია.

ხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის, ლიფტების განახლება და შენობების ფასადების რეაბილიტაცია. 2024-2025 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, სრულად მოდერნიზებულია 204 ლიფტი. ამასთანავე, აქტიურად მიმდინარეობს შენობების გადახურვის, ნაპრალების აღმოფხვირსა და სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები.

აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას, ენერგოეფექტურობის ზრდასა და ქალაქის ვიზუალური იერსახის მოწესრიგებას. თუმცა, გამოწვევად რჩება ქალაქის მასშტაბით ავარიული შენობების სრული გამაგრება-რეაბილიტაცია.

ქალაქისთვის პრიორიტეტულია საზოგადოებრივი სივრცეების განვითარების მიმართულებითაც. განხორციელდა სხვადასხვა საზოგადოებრივი სივრცეების რეაბილიტაცია, რაც ზრდის მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი, ფუნქციური და კომფორტული გარემოს შექმნის შესაძლებლობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შიდასაუბნო, სპორტული მოედნებისა და საბავშვო სივრცეების რეაბილიტაციას. აღსანიშნავია, რომ 2024-2025 წლებში რეაბილიტირდა 85 შიდასაუბნო სივრცე. აღნიშნული სივრცეები მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც სოციალურ აქტივობებში, ასევე ქალაქს აქცევს საინვესტიციოდ მიმზიდველ ადგილად.

მიუხედავად მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებისა, ქალაქ რუსთავში კვლავ იკვეთება რიგი გამოწვევები. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ინფრასტრუქტურის მდგრადობისა და ხარისხის უზრუნველყოფა. განხორციელებული პროექტების შენარჩუნება და მათი გრძელვადიანი ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტექნიკურ სტანდარტებზე, მოვლა-პატრონობის სისტემაზე და რეგულარულ მონიტორინგზე. აღნიშნული მიმართულების გაუმჯობესება აუცილებელია ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

სატრანსპორტო სისტემის განვითარება ბოლო პერიოდში ხასიათდება, როგორც სერვისის მასშტაბის ზრდით, ასევე მისი ეფექტიანობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ ცვლილებებით. გაიზარდა შიდასაქალაქო მუნიციპალური ტრანსპორტის რაოდენობა, რაც პირდაპირ აისახება მგზავრთა მომსახურების ხარისხზე და გადაადგილების ხელმისაწვდომობაზე. ამასთან, გაიზარდა მარშრუტების რაოდენობაც, რაც უზრუნველყოფს ქალაქის სხვადასხვა უბნებს შორის კავშირის გაუმჯობესებას. ქალაქისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სატრანსპორტო სისტემის ეტაპობრივი ჩანაცვლება ეკომეგობრული ტრანსპორტით. აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს გარემოზე ზემოქმედების შემცირებას, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებასა და მდგრადი ურბანული განვითარების ხელშეწყობას.

სატრანსპორტო სისტემის განვითარებაში მნიშვნელოვანი მიმართულებაა მგზავრთა ნაკადების მართვა. გაზრდილია, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მგზავრების საერთო რაოდენობა, ისე შეღავათიანი მგზავრობის

ბენეფიციარების რაოდენობაც, რაც მიუთითებს სოციალური მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერებაზე და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის ზრდაზე სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დინამიური განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია ახალი გაჩერებებისა და საინფორმაციო ტაბლოების მონტაჟი. 2024-2025 წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ ქალაქის მასშტაბით დამონტაჟდა 39 ახალი გაჩერება და 140 საინფორმაციო ტაბლო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქალაქო ტრანსპორტის სისტემაში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმა – თბილისი-რუსთავის მიმართულებით ახალი ავტობუსების დანიშვნა, რაც წარმოადგენს საქალაქთაშორისო გადაადგილების გაუმჯობესების მნიშვნელოვან ნაბიჯს. აღნიშნული მარშრუტი ყოველდღიურად ემსახურება დაახლოებით 30 000 მგზავრს, რაც ნათლად ასახავს მისი ფუნქციური დატვირთვისა და მნიშვნელობის მასშტაბს როგორც ადგილობრივი, ისე დედაქალაქთან კავშირის თვალსაზრისით.

გამოწვევები

რუსთავისთვის ძირითად ურბანულ პრობლემას რამდენიმე საკითხი წარმოადგენს, მათ შორის არის ეკოლოგიური მდგომარეობა, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და საწარმოო ზონის არსებობა. რუსთავი წლების განმავლობაში იყო მრეწველობის ცენტრი, სადაც მრავალი ქარხანა და ქიმიური წარმოება ფუნქციონირებდა. დღეს არსებული საწარმოების უმრავლესობა აღჭურვილია თვითმონიტორინგის სისტემით, თუმცა ჰაერის დაბინძურება და საწარმოო ზონის კონტროლი ისევ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. გარემოს დაცვის მიმართულებით წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა: რეაბილიტირებულია 24 მწვანე სივრცე, რომელთა საერთო ფართობი 300 000 კვ.მ-ია, მიმდინარეობს ქალაქის შუაგულში არსებული 320 ჰექტარზე ჭალის ტყის აღდგენა-განაშენიანების პროექტი, შემუშავებულია რუსთავის ჰაერის ხარისხის მართვის გარდამავალი გეგმა 2023-2025.

ეკონომიკური განვითარება უნდა იყოს ეკოლოგიურად დაბალანსებული. რუსთავი მრავალი წლის განმავლობაში ინდუსტრიული დაბინძურების ზონად მიიჩნეოდა, ამიტომ მომავალი განვითარების მოდელი უნდა ემყარებოდეს გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას. აუცილებელია მწვანე ინვესტიციების წახალისება განახლებადი ენერგიის, ნარჩენების გადამუშავებისა და ენერგოეფექტური მშენებლობის მიმართულებით.

კომპლექსური საკითხია, რუსთავის დედაქალაქთან, თბილისთან გეოგრაფიული სიახლოვე. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველდღიურად 30 000 ადამიანი მგზავრობს რუსთავიდან თბილისში სამუშაოდ ან სასწავლებლად. უმაღლესი განათლების დაწესებულებები კონცენტრირებულია თბილისში, რაც აიძულებს რუსთაველ ახალგაზრდებს სწავლა დედაქალაქში განაგრძონ; ეს ზრდის ყოვედღიური მიგრაციის ტენდენციას, ბევრი ახალგაზრდა შემდეგ აღარ უბრუნდება ქალაქს და მას აკლდება კვალიფიციური სამუშაო ძალა, რაც აფერხებს ინოვაციური სექტორების განვითარებას. ქალაქში დაბრუნებულ ახალგაზრდებს კი უჭირთ სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია, დასაქმება ან თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარება.

რუსთავის, როგორც დიდი ისტორიის მქონე ქალაქის და ამავდროულად ახალი შესაძლებლობებისა თუ ახლებური ხედვის მქონე ურბანული დასახლების პოზიციონირება, ქვეყნის მასშტაბით შესამჩნევია. რუსთავს აქვს უდიდესი პოტენციალი გახდეს ტურისტულად მიმზიდველი ადგილიც, ვინაიდან მისი ისტორია ჯერ კიდევ ძვ.წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნეში იწყება და ამას მის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალი არტეფაქტი მოწმობს, შემორჩენილია ისტორიული ციხე-სიმაგრის ნანგრევებიც. ქალაქს აქვს უნიკალური ტყე-ჭალის ტერიტორია ენდემური სახეობის ფლორითა და ფაუნით. რუსთავს შეუძლია იქცეს ქალაქად, რომელიც იყენებს თბილისთან სიახლოვეს არა როგორც დამოკიდებულებას, არამედ, როგორც კონკურენტულ უპირატესობას: ეკონომიკურად განვითარებული, ეკოლოგიურად პასუხისმგებელი და სოციალური განვითარების მხრივ სიცოცხლისუნარიანი ცენტრი.

ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ერთიანი და ინტეგრირებული ციფრული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში უკვე დანერგილია სხვადასხვა ელექტრონული სერვისი და პროგრამული პლატფორმა, ისინი ხშირად ფუნქციონირებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, რაც ზღუდავს მონაცემთა სრულყოფილ გამოყენებას და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას. არსებული მდგომარეობა საჭიროებს მონაცემთა ცენტრალიზაციას, სისტემების ურთიერთდაკავშირებასა და ერთიანი ციფრული არქიტექტურის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც რეალურ დროში ინფორმაციის მართვას, ისე სხვადასხვა სექტორს შორის კოორდინაციას.

3. ქალაქ რუსთავის განვითარების SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• სტრატეგიული მდებარეობა • ჭალის ტყის უნიკალური ეკოსისტემა • ჭალის ტყის აღდგენა-განაშენიანების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა • მუნიციპალური სანერგე მეურნეობის არსებობა და მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობა • პროფესიული განათლების სასწავლებლები და პროგრამები • მტკნარი წყლის დიდი რესურსი გამოყენების პოტენციალით • ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმები, მათ შორის საგადასახადო შეღავათები რეინვესტირების შემთხვევაში • დედაქალაქთან სიახლოვე • საქალაქთაშორისო სატრანსპორტო პოლიტიკა • ფესტივალების განხორციელების გამოცდილება და მიზიდულობის ცენტრი • ახალგაზრდების ჩართულობის მზარდი ტენდენცია მუნიციპალურ მმართველობაში • ახალგაზრდული პოლიტიკის სისტემური მიდგომა • ციფრული და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობები • მუნიციპალური სერვისებზე წვდომის ერთი ფანჯრის პრინციპი • თანამშრომელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა • მონაცემებზე დაფუძნებული მმართველობა • ახალგაზრდული და საგანმანათლებლო სივრცეების მზარდი რაოდენობა	• ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაღალი დონე • მოძველებული ურბანული ინფრასტრუქტურა • ეკოლოგიური მონიტორინგის არსებული მექანიზმების არასაკმარისი ეფექტიანობა • საზოგადოებრივი ცნობიერების არასაკმარისი დონე ეკოლოგიური საკითხების მიმართულებით • მოსახლეობის დაბალი ციფრული უნარები • შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და კვალიფიკაციას შორის შეუსაბამობა • ციფრული ეკოსისტემის ფრაგმენტულობა • კერძო სექტორის მხრიდან ეკოლოგიური გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის არქონა • სკოლებისა და საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურული გამოწვევები • სპორტული სივრცეებისა და სამუსიკო სკოლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა • მწირი ადგილობრივი აკადემიური რესურსი • ახალგაზრდების დასაქმების დაბალი დონე • უმაღლესი განათლების ეკოსისტემის არარსებობა • ტურისტული ინფრასტრუქტურის არასაკმარისი რაოდენობა • მაღალი სტანდარტების სასტუმროების სიმცირე;

შესაძლებლობები	საფრთხეები
• ქალაქის პოზიციონირება, როგორც “მწვანე ქალაქი” და ეკოლოგიური იმიჯის გაძლიერება • ჭალის ტყის ბაზაზე ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობა • ჭალის ტყის ბაზაზე ტურიზმის განვითარება. • მოქალაქეთა ჩართულობა და ინდუსტრიული ტურიზმის განვითარება. • კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ტურისტულ პროდუქტად გარდაქმნა • საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებით კერძო ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობა • ტექ-ჰაბების და სტარტაპების განვითარება • განათლების მორგება შრომის ბაზარზე და კულტურულ-ტურისტული ურთიერთშეთანხმება • რეგიონული ჰაბი: "Smart City" ჰაბად ჩამოყალიბება და სხვა მუნიციპალიტეტების ტექ-მხარდაჭერა. • უმაღლესი განათლების ცენტრის შექმნის შესაძლებლობა (საუნივერსიტეტო ქალაქის კონცეფცია) • ტექნოლოგიური კომპანიების მოზიდვის და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების შესაძლებლობა • მონაცემებზე დაფუძნებული მართვის სისტემების განვითარება და ეფექტიანობის ზრდა	• ინდუსტრიული სექტორის წინააღმდეგობა გარემოსდაცვითი რეგულაციების მიმართ • ურბანული ზრდის პირობებში სატრანსპორტო სისტემის გადატვირთვის რისკი • ინტელექტუალური რესურსის და სამუშაო ძალის გადინება დედაქალაქში • ვანდალიზმის დონის ზრდა • ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის სწრაფი მოძველება და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები • ინფრასტრუქტურის გადატვირთვა მოსახლეობის ზრდის შემთხვევაში • დედაქალაქზე გადაჭარბებული დამოკიდებულება • ურბანული გაფართოების არაკონტროლირებადი პროცესები და მიწათსარგებლობის არაეფექტიანი მართვა

• ალტერნატიული და მდგრადი ტრანსპორტის სისტემების განვითარების შესაძლებლობა • სარკინიგზო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების პოტენციალი • ინდუსტრიული ტურიზმის განვითარების პოტენციალი • სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია • რეგიონული ლოჯისტიკური ჰაბის განვითარება • ენერგეტიკული პროდუქტები და პროექტები (მზის ენერგია, ქარის ენერგია)	

4. სტრატეგიული ხედვა

რუსთავი 2037 წელს არის მწვანე, სტუდენტური და ტექნოლოგიების ქალაქი, რომელიც უსაფრთხო და საცხოვრებლად კომფორტული ადგილია და ეფუძნება „ჭკვიანი ქალაქის“ კონცეფციას.

5. განვითარების პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

პრიორიტეტული მიმართულება I: რუსთავი - მწვანე ქალაქი

მიზანი 1: რუსთავის მწვანე ქალაქად პოზიციონირება - აღნიშნული მიზნის ქვეშ რუსთავის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია ორიენტირებულია ქალაქის გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველყოფაზე და მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვაზე.

<u>ამოცანა 1:</u> ჭალის ტყის აღდგენა-განაშენიანება

<u>ამოცანა 2:</u> შიდასაქალაქო მწვანე სივრცეების განვითარება

<u>ამოცანა 3:</u> ეკომეგობრული მუნიციპალური სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარება

<u>ამოცანა 4:</u> ენერგოეფექტურობის გაზრდა

<u>ამოცანა 5:</u> საწარმოო ემისიების მართვა

ინდუსტრიული ქალაქის სტატუსის პარალელურად, რუსთავის ახლებული ხედვა გულისხმობს ეკოლოგიურად სუფთა, კომფორტული და ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს განვითარებას.

სტრატეგიული დოკუმენტი მიზნად ისახავს ხუთი ძირითადი მიმართულებაის განვითარებას: ჭალის ტყის აღდგენა-განაშენიანება, შიდასაქალაქო მწვანე სივრცეების განვითარება, მუნიციპალური სატრანსპორტო პოლიტიკის განახლება, ენერგოეფექტურობა და საწარმოო ემისიების მართვა. თითოეული მიმართულება მოიცავს კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა სისტემური განხორციელება უზრუნველყოფს ქალაქის ეტაპობრივი გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამის ტრანსფორმაციას. სტრატეგია ემყარება თანამონაწილეობრივ მიდგომას და ითვალისწინებს, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას მის განხორციელებაში.

ქალაქის მწვანე კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსთავის ჭალის ტყის ეკოსისტემაა, რომელიც წარმოადგენს რუსთავის უნიკალურ ბუნებრივ რესურსს, რომლის მდგრადი განვითარება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ჭალის ტყის აღდგენა-განაშენიანების პროექტი გრძელვადიანი პროცესია, რომლისთვისაც მუნიციპალიტეტმა გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგა. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის მთავრობასთან თანამშრომლობით, შეიმუშავა რუსთავის ჭალის ტყეების განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და აღდგენა-განაშენიანების სამოქმედო გეგმა. დოკუმენტის მიზანია ტყის

ინფრასტრუქტურული განვითარება, ბიომრავალფეროვნების დაცვა, ენდემური სახეობების გამრავლება, ნარჩენებისგან ტყის გაწმენდა, უსაფრთხოების ზომების გატარება, ეკოტურიზმის ხელშეწყობა, საფეხმავლო ბილიკებისა და რეკრეაციული ზონების მოწყობა და საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიების წარმოება. ქალაქის შუაგულში არსებული ტყის განვითარება გააუმჯობესებს რუსთავის ჰაერის ხარისხს, ფლორისა და ფაუნის აღდგენას და შესაბამის გარემოს ფრინველებისა და ცხოველების გამრავლებისთვის. ჭალის ტყე გადაიქცევა ჯანსაღ, თანამედროვე და მრავალფუნქციურ ადგილად, რომელიც მოქალაქეებს მისცემს დასვენების, სპორტული აქტივობებისა და ბუნებასთან ახლო კონტაქტის შესაძლებლობას.

რუსთავის სამომავლო გეგმები მოიცავს შიდასაქალაქო მწვანე სივრცეების კომპლექსურ განვითარებას. მნიშვნელოვანია ქალაქ რუსთავის ცენტრალური პარკის მოდერნიზაცია როგორც ფუნქციური, ისე ინფრასტრუქტურული განახლება, რაც გახდის მას თანამედროვე სტანდარტების შესაბამის რეკრეაციულ სივრცედ. პარკში არსებული ტბის წყლის ფილტრაციის სისტემის დანერგვა გააუმჯობესებს წყლის ეკოლოგიურ მდგომარეობას და შექმნის უფრო ჯანსაღ გარემოს მოქალაქეებისთვის.

რუსთავს უკვე აქვს საკუთარი სანერგე მეურნეობა, რომელიც აქტიურად ფუნქციონირებს და მნიშვნელოვანი რესურსია ქალაქის გამწვანების უწყვეტი პროცესისთვის. საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სანერგე ტერიტორიის გაზრდა, რათა დააკმაყოფილოს ქალაქის საჭიროება და მოთხოვნა მცენარეთა მიმართულებით. სანერგე მეურნეობის გაძლიერება უზრუნველყოფს ადგილობრივი სახეობების კულტივირებას და გამწვანების ახალი პროექტების სრულფასოვან რეალიზაციას.

მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს ალტერნატიული ტრანსპორტის განვითარების წამახალისებელ პოლიტიკას, რომელიც ეკომეგობრულ ტრანსპორტზე გადასვლას გულისხმობს. ქალაქს აქვს ველობილიკების სრული ქსელის პროექტი და ველობილიკების შესაბამისი ფრაგმენტული ინფრასტრუქტურა, საჭიროა ველობილიკების სრულყოფილი სისტემის მოწყობა,რაც ხელს შეუწყობს ალტერნატიული, ეკოლოგიურად სუფთა გადაადგილების საშუალების განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას მოსახლეობაში.

სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის მასშტაბით რესურსების დაზოგვას, მათ შორის, რუსთავის სრული ტერიტორიის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფას, რაც შეამცირებს სასმელი წყლის მოხმარებას, გაზრდის მცენარეთა საფარის მოვლა-პატრონობის ხარიხს და შეამცირებს ქალაქის რესურსების მოხმარების მაჩვენებელს.

რუსთავის სატრანსპორტო განვითარების პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარება, გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად. პრიორიტეტს წარმოადგენს პარკირების სისტემის შექმნა, რომელიც ეტაპობრივად მოაწესრიგებს სატრანსპორტო ნაკადებს და შეამცირებს ქუჩებში ქაოსურად გაჩერებული ავტომობილების რაოდენობას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მუნიციპალური ელექტრო ტექნიკის შეძენასა და თანამედროვე ავტოპარკის შექმნაზე, პარალელურად, დაგეგმილია მოქალაქეებში ელექტრო მანქანების გამოყენების წახალისების პოლიტიკის შემუშავება შეღავათებისა და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის მეშვეობით. ელექტრო ტრანსპორტზე ეტაპობრივი გადასვლა შეამცირებს ატმოსფერულ ემისიებს, გააუმჯობესებს ჰაერის მდგომარეობას და შექმნის ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო ქსელს.

რუსთავის მწვანე ქალაქის კონცეფციისთვის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი კომპონენტია ენერგოეფექტურობაზე ზრუნვა, რაც ქალაქის რესურსების ოპტიმიზაციის პროცესს ითვალისწინებს მუნიციპალური და საცხოვრებელი შენობების თანამედროვე, ენერგოეფექტური მასალებით შეფუთვითა და მზის პანელების ფართომასშტაბიანი გამოყენებით. ეს ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეამცირებს ენერგომოხმარებას და ხელს შეუწყობს ქალაქში განახლებადი ენერგიის წყაროებას. არსებული რესურსების ოპტიმალური მართვის ფარგლებში გათვალისწინებულია გარე განათების ქსელის თანამედროვე მართვის სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ენერგიის ეფექტურ გამოყენებას და ხარჯების მინიმალიზაციას.

რუსთავის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ინდუსტრიული მემკვიდრეობა, რომელიც დღემდე მძიმედ აისახება ქალაქის ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე. რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია საწარმო ემისიების მართვა და გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება. საწარმოების გადაიარაღება თანამედროვე, გარემოსდაცვითი ტექნოლოგიებით მნიშვნელოვნად შეამცირებს ინდუსტრიულ ემისიებს და გაუმჯობესებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხს. ამ პროცესის ხელშეწყობისთვის საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, რომელიც შექმნის ხელსაყრელ სამართლებრივ გარემოს ეკოლოგიური სტანდარტების დასანერგად. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გამკაცრება და ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება უზრუნველყოფს ეკოლოგიური ნორმატივების მკაცრ დაცვას და ოპერატიულ რეაგირებას სხვადასხვა სახის დარღვევებზე. ეს კომპლექსური მიდგომა

ხელს შეუწყობს რუსთავის ტრანსფორმაციას მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებულ, ეკოლოგიურად სუფთა, მწვანე ქალაქად.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებლობას იღებს გარემოსდაცვითი მართვის გაუმჯობესებაზე, ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვასა და ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენებაზე. სტრატეგიის განხორციელება ხელს შეუწყობს ქალაქის ეკოლოგიური რისკების შემცირებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას და ეკოლოგიური საზოგადოებრივი სივრცეების შექმნას. საბოლოოდ, ეს პროცესი რუსთავს გარდაქმნის თანამედროვე, მწვანე სტანდარტებზე დაფუძნებულ ქალაქად, სადაც ურბანული განვითარება და გარემოს დაცვა ერთმანეთთან დაბალანსებულად და პასუხისმგებლობით განვითარდება.

პრიორიტეტული მიმართულება II: რუსთავი - სტუდენტური ქალაქი

<u>**მიზანი 2: რუსთავის ტრანსფორმაცია ახალგაზრდული შესაძლებლობების ცენტრად -**</u> მიზნის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდული კაპიტალის გაძლიერება, კვალიფიციური ადამიანური რესურსის წარმოება და რეგიონში განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა.

<u>ამოცანა 1:</u> ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარება

<u>ამოცანა 2:</u> ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია მუნიციპალური სპორტული სერვისების განვითარებით

<u>ამოცანა 3:</u> ქალაქის ტურისტული პოტენციალის მხარდაჭერა

სტრატეგიული ხედვის განუყოფელი ნაწილია საუნივერსიტეტო ქალაქის შექმნის ინიციატივა, რომელიც რუსთავის გრძელვადიანი პროგრესის, ეკონომიკური გარდაქმნისა და სოციალური მდგრადობის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და სისტემური პროექტია. ინიციატივა მიმართულია ისეთი საგანმანათლებლო და კვლევითი ეკოსისტემის ჩამოყალიბებისკენ, სადაც თავს მოიყრის უმაღლესი განათლების რამდენიმე მიმართულება, ტექნოლოგიური ჰაბები, თანამედროვე ლაბორატორიები, სტუდენტური კამპუსები, საერთო სამუშაო სივრცეები, სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურა. საუნივერსიტეტო ქალაქი შექმნის გარემოს, სადაც 40 000-მდე სტუდენტს ექნება წვდომა ხარისხიან განათლებაზე და მიეცემათ შესაძლებლობა, შეიძინონ ის პროფესიული და აკადემიური უნარები, რომლებიც

სრულად პასუხობს თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, ხოლო რუსთავს ექნება შესაძლებლობა გარდაიქმნას აღმოსავლეთ საქართველოს უმსხვილეს საგანმანათლებლო ცენტრად.

პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობა უზრუნველყობს, როგორც სტრატეგიულ მხარდაჭერას, ისე ფინანსურ და ინსტიტუციურ ჩართულობას - მიწათსარგებლობის პოლიტიკის კოორდინაციას, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის მომზადებას, საგანმანათლებლო კლასტერის ჩამოყალიბებასა და ინვესტორთა მოზიდვის ხელშეწყობას. ინიციატივის განხორციელება მნიშვნელოვნად აამაღლებს რუსთავის კონკურენტუნარიანობას, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ქალაქი გახდება ცენტრი, რომელიც მოიზიდავს უცხოელ სტუდენტებს, პარტნიორებს, ტექნოლოგიურ კომპანიებსა და ინვესტორებს. ეს პროცესები წარმოშობს ეკონომიკური ზრდის ახალ იმპულსს და შექმნის მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს ადგილობივი მოსახლეობისთვის. პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 500 მილიონ ლარს,რაც ხაზს უსვამს სახელმწიფოს მიერ ინიცირებული ინვესტიციის მასშტაბურობასა და სტრატეგიულ მნიშვნელობას.

რუსთავი, როგორც ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი და პერსპექტივის მქონე ქალაქისთვის, მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია პროფესიული განათლების გაძლიერება. არაფორმალური განათლების ცენტრების ზრდა, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო პროექტები გამოიწვევს პროფესიული პროგრამებისადმი დამატებით ინტერესს და ქალაქს მისცემს შესაძლებლობას მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები ისეთ მიმართულებებში, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როგორც მუნიციპალური, ისე ეროვნული ეკონომიკისთვის. მუნიციპალიტეტი რეგულარულად იკვლევს პროფესიული, სპეციფიური კადრების საჭიროებას და თანამშრომლობის საფუძველზე,პროფესიულ საგანმანათლებლო სექტორთან ერთად ქმნის დამატებით მოდულებსა და სასწავლო მიმართულებებს, რაც ხელს უწყობს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების პრინციპის დაბალანსებას. პრიორიტეტულია არაფორმალური განათლების ხელშეწყობა,რომელიც გულისხმობს, სამუსიკო მულტიფუნქციური ცენტრების ინფრასტრუქტურის მასშტაბურ განახლებას და ახალი ახალგაზრდული, სამუშაო სივრცეების, ბიბლიოთეკებისა და ტექნოლოგიური, ინოვაციური ჰაბების შექმნას.

რუსთავის,როგორც ახალგაზრდების მიზიდულობის ცენტრად ქცევა, კომპლექსური პროცესია და მის ძირითად საკითხს წარმოადგენს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მრავალფუნქციური სპორტული ქალაქის შექმნა, რომელიც იქნება

კიდევ ერთი ახალი პერსპექტივა ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის, სპორტის მასობრიობის ხელშეწყობისა და მნიშვნელოვანი მიღწევებისთვის. სპორტული ქალაქის მშენებლობის მიზანია მასობრივი სპორტის ხელშეწყობა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია, 2036 წლისთვის მოსახლეობის 50%-ის ჩართვა სპორტულ აქტივობებში, ამორტიზირებული, ძველი, საფრთხისშემცველი ინფრასტრუქტურის შეცვლა ადაპტირებული, კომფორტული შენობებით.

უკვე მიმდინარეობს თანამედროვე მუსიკალური ლაბორატორიის მშენებლობა, ამასთანავე აუცილებელია სამუსიკო სკოლების რეაბილიტაცია და მართვის ახლებური სისტემის შემუშავება, რათა შეიქმნას ახალი, თანამედროვე მულტიფუნქციური კულტურული ცენტრები, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქალაქის ტურისტული პოტენციალის სრულფასოვანი გამოყენება და მისი გარდაქმნა მდგრად ეკონომიკურ შესაძლებლობად. რუსთავის ახალი ბრენდინგისა და ხედვის ინსპირაცია სწორედ ქალაქის უძველესი ისტორიაა, რუსთავის ციხე-სიმაგრის და უფლისწულთა რეზიდენციის - ვოსტანქალაქის არსებობა, რომელიც თანამედროვე რუსთავის აშენებამდე 16 საუკუნით ადრე არსებობდა. ქალაქში არსებობს არქეოლოგიური ექსპედიცია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად მიმდინარეობს რუსთავის ციხე-სიმაგრის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტის მომზადება, იგეგმება არქეოლოგიური საერთაშორისო სკოლის დაფუძნება, ღია სამუზეუმო სივრცის შექმნა, ლაბორატორიის მოწყობა და ტურისტულ ობიექტად ქცევა. არსებული მუზეუმის რეაბილიტაცია, ისტორული თეატრის ინფრასტრუქტურული განახლება გააძლიერებს ვიზიტორთა ინტერესს და გაზრდის ქალაქის მნიშვნელობას, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტურიზმის მიმართულებით. მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურის - სპორტული კომპლექსების, კულტურული სივრცეების, მუზეუმების, რეკრეაციული ზონებისა და თანამედროვე ურბანული არქიტექტურის თანმიმდევრული განვითარება ახალგაზრდებს მისცემს შესაძლებლობას ადგილზე დასაქმებისა და განვითარებისთვის.

პრიორიტეტული მიმართულება III: რუსთავი - ტექნოლოგიების ქალაქი

<u>მიზანი 3: მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების გაუმჯობესება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით</u> - მიზნის ფარგლებში მოხდება ინოვაციური, მონაცემებზე დაფუძნებული და მოქალაქეზე ორიენტირებული

მმართველობის მხარდაჭერას, რაც, თავის მხრივ, შექმნის უსაფრთხო, გამჭვირვალე, ეფექტურ და ტექნოლოგიურად განვითარებული ურბანული გარემოს.

ამოცანა 1: ჭკვიანი ქალაქის კონცეფციის შესაბამისად მუნიციპალური სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდა

ამოცანა 2: მოქალაქეებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა

რუსთავის "ჭკკვიანი ქალაქის" კონცეფციის ფარგლებში, ციფრული ტრანსფორმაცია უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ეფექტურობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, სერვისების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას, ქმნის ინოვაციურ ეკონომიკურ სივრცეს ბიზნესისა და სტრატაპებისათვის, უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოებასა და მდგრად ინფრასტრუქტურას. სტრატეგიის მიზანია ახალი სისტემების შექმნა და უკვე არსებულის გარდაქმნა ერთიან, მონაცემებზე დაფუძნებულ, მაღალი ინტეგრაციის მქონე ურბანულ მოდელად. ქალაქს აქვს პოტენციალი, რომ გახდეს „Smart City" ჰაბი, რომელიც შეძლებს როგორც საკუთარი, ისე სხვა მუნიციპალიტეტებისათვის ტექნოლოგიური მხარდაჭერის გაწევას.

რუსთავი ციფრული განვითარების საწყის, მაგრამ მნიშვნელოვან ეტაპზეა. დანერგილია რამდენიმე ღირებული ელექტრონული სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფს კონკრეტული მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაციასა და სამუშაო პორტალების შექმნას, ესენია: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამული უზრუნველყოფა, მუნიციპალური ბიუჯეტის მართვის პროგრამა, დასუფთავების მოსაკრებლის პლატფორმა, ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის პროგრამა, ბაგა-ბაღების გაერთიანების პროგრამული უზრუნველყოფა და ინციდენტების მართვის სისტემა. მიუხედავად მოცემული ციფრული პროდუქტებისა, ციფრული ეკოსისტემა ჯერ კიდევ ფრაგმენტირებულია, ხოლო მონაცემთა ნაკადები საჭიროებს ოპტიმიზაციასა და ერთიან სამართავ სისტემაში მოქცევას. ქალაქში უკვე ფუნქციონირებს ციფრული განვითარების სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს ციფრული სისტემების შექმნასა და პროგრამულ უზრუნველყოფას, თანამშრომელთა გადამზადებასა, ახალი ადამიანური კაპიტალის მოზიდვას. ეს სივრცე უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს რუსთავი გარდავქმნათ ჭკვიან ქალაქად, დავნერგოთ ტექნოლოგიები ეფექტური მმართველობისათვის და მივცეთ მოქალაქეებს თანამედროვე ციფრული პროფესიების დაუფლების საშუალება.

რუსთავის ჭკვიანი ქალაქის სტრატეგიის პრიორიტეტების ერთობლიობა ქმნის იმ სისტემურ ცვლილებას, რაც ქალაქს სჭირდება ინფრასტრუქტურის, ეკონომიკის, საზოგადოებრივი სერვისების და ადამიანური კაპიტალის სრულყოფილად

ტრანსფორმირებისთვის. ჩვენი მიზანია, ერთიანი ციფრული არქიტექტურის - მონაცემთა საცავის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვათავსოთ და დავამუშაოთ მონაცემები უსაფრთხოდ. მნიშვნელოვანია რეალურ დროში მონაცემების ფლობა ჰაერის ხარისხზე, ხმაურზე, საპარკინგე სისტემებზე, მოძრაობის ნაკადებზე, ენერგომოხმარებაზე, წყლისა და ნარჩენების სისტემის მდგომარეობაზე. რუსთავისთვის IoT სენსორების ფართომასშტაბიანი ქსელის ჩამოყალიბება შექმნის გარემოსა და ინფრასტრუქტურის მონიტორინგის ეფექტიან გარემოს, რომელიც საშუალებას მისცემს ქალაქს მართოს რესურსები ოპტიმალურად, შეამციროს დანახარჯები, გაზარდოს პრობლემებზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობა და შექმნას გარემოსდაცვითი პოლიტიკის ახალი სტანდარტი. გარემოს დაცვა, რესურსების ოპტიმიზაცია, ენერგიის ალტერნატიული წყაროები და სენსორებზე დაფუძნებული მონიტორინგი არა მხოლოდ უზრუნველყოფს გარემოსდაცვით სტანდარტების დაცვას, არამედ ამცირებს ხარჯებს, ზრდის უსაფრთხოებას და ქმნის გარემოს, რომელიც მზად არის კლიმატური და ენერგეტიკული გამოწვევებისთვის.

მომდევნო 12 წლის ვადაში, მუნიციპალიტეტი შეძლებს, რომ არა მხოლოდ რეალურ დროში, არამედ მომავალში დაინახოს და განსაზღვროს საჭიროებები ქალაქის ერთიანი აპლიკაციით, რომელიც მოდულებად იქნება დაყოფილი და გააერთიანებს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი, საპარკინგე სისტემები, სოციალური და სტუდენტური პროგრამები და სხვა. მოქალაქეს შეეძლება ნებისმიერ საკითხზე ინფორმაციის მიღება მარტივად და გასაგებად, ავტომატიზირებული მონიტორინგისა და მართვის სისტემები უზრუნველყოფენ პრობლემების იდენტიფიცირებას და ოპერატიულ რეაგირებას. რუსთავი იქცევა ქალაქად, სადაც საჯარო მმართველობა და მოსახლეობა ერთმანეთთან მუდმივ, ციფრულ კავშირში არიან, ხოლო გადაწყვეტილებები ემყარება რეალურ საჭიროებებსა და ანალიტიკურ მონაცემებს. ბიუროკრატიული პროცედურები შემცირდება მინიმუმამდე, ხოლო მოქალაქეებისთვის ყველა საკვანძო სერვისი გახდება მარტივად ხელმისაწვდომი. რუსთავი ჩამოყალიბდება ცოდნისა და ტექნოლოგიების ჰაბად, სადაც მოქალაქეებს, სტარტაპ სექტორს, ინვესტორებსა და კომპანიებს ექნებათ ახალი შესაძლებლობები. მუნიციპალიტეტში ეკონომიკური ზრდა დაეყრდნობა ცოდნას, კვლევებსა და ინოვაციებს. რუსთავის „ჭკვიანი ქალაქის“ სტრატეგია წარმოადგენს არა მხოლოდ ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიური სისტემების განახლებას, არამედ ღრმა ინსტიტუციურ გარდაქმნას, რომელიც ქალაქის განვითარებას მთლიანად ახალ ეტაპზე გადაიყვანს.

რუსთავი ჩამოყალიბდება ქალაქად, სადაც ტექნოლოგიები, მმართველობა და საზოგადოება ერთიან სისტემაში მუშაობს, პროგნოზირებს პრობლემებს, ეფექტურად მართავს რესურსებს, უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ქმნის ინოვაციურ, მდგრად და მოქალაქეზე ორიენტირებულ ურბანულ გარემოს.

ლოგიკური ჩარჩო

ხედვა		რუსთავი 2037 წელს არის მწვანე, სტუდენტური და ტექნოლოგიების ქალაქი, რომელიც უსაფრთხო და საცხოვრებლად კომფორტული ადგილია და ეფუძნება „ჭკვიანი ქალაქის“ კონცეფციას					
მიზანი 1		**რუსთავის მწვანე ქალაქად პოზიციონირება**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	მიზანი 3 მიზანი13 მიზანი15
გავლენის ინდიკატორი 1.1:	მწვანე სივრცეების პროცენტული წილი ქალაქის მთლიან ფართობთან მიმართებით		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	ჩატარებული კვლევის შედეგები
		მაჩვენებელი	10%	70%		90%	
გავლენის ინდიკატორი 1.2	ატმოსფერულ ჰაერში PM 2,5 საშუალო წლიური კონცენტრაცია		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემი
		მაჩვენებელი	31 მკგ/მ^3	< 20 მკგ/მ^3		< 15 მკგ/მ^3	
ამოცანა 1.1		**ჭალის ტყის აღდგენა-განაშენიანება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1	აღდგენილი ეკოსისტემის პროცენტული წილი ჭალის ტყის მთელ ტერიტორიასთან მიმართებით		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	ჩატარებული კვლევის შედეგები
		მაჩვენებელი	10%	40%	70%	90%	
რისკი	კლიმატური პირობები						
ამოცანა 1.2		**შიდასაქალაქო მწვანე სივრცეების განვითარება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1	რეაბილიტირებული და შექმნილი შიდასაქალაქო მწვანე სივრცეების წილი მთლიან რაოდენობაში		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	ჩატარებული ტენდერები, ტექნიკური დავალებები და შესყიდვების ხელშეკრულებები
		მაჩვენებელი	80%	85%	90%	100%	

რისკი	კლიმატური პირობები						
ამოცანა 1.3		**ეკომეგობრული მუნიციპალური სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1	მუნიციპალური ავტოტრანსპორტით დაბინძურებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დაბინძურების კლების მაჩვენებელი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	ჩატარებული კვლევის შედეგები
		მაჩვენებელი	60%	40%	30%	20%	

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.2	მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის მაჩვენებლი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	სტატისტიკური მონაცემები
		მაჩვენებელი	40%	50%	60%	75%	
რისკი	მოვლა-პატრონობის მაღალი ფინანსური რესურსი						
ამოცანა 1.4		**ენერგოეფექტურობის გაზრდა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1	მუნიციპალიტეტის მხრიდან კომუნალური გადასახადებიდან აკუმულირებული და დაზოგილი თანხების პროცენტული წილი მთლიან შემოსავლებში		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	ჩატარებული კვლევის შედეგები
		მაჩვენებელი	N/A	10%	20%	30%	
რისკი	მაღალი ფინანსური რესურსი						
ამოცანა 1.5		**საწარმოო ემისიების მართვა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.1	ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მაჩვენებელი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	ჩატარებული კვლევის შედეგები
		მაჩვენებელი	N/A	15%	20%	40%	
რისკი	საწარმოების მხრიდან ეკოლოგიური გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის არქონა						
მიზანი 2		**რუსთავის ტრანსფორმაცია ახალგაზრდული შესაძლებლობების ცენტრად**				მდგრადი განვითარების	მიზანი 4 მიზანი 9 მიზანი 11

						მიზნებთან (SDGs) კავშირი:	
გავლენის ინდიკატორი 2.1	რუსთავში მცხოვრები ახალგაზრდების კმაყოფილების დონის ზრდა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	ჩატარებული კვლევის შედეგები
		მაჩვენებელი	20%	35%		50%	
ამოცანა 2.1		**ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1	განათლებაში ჩართულობის თანაბარი ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	სტატისტიკური მონაცემები
		მაჩვენებელი	30%	40%	60%	70%	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.2	სერვისებით მოსარგებლეთა პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებით		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	სტატისტიკური მონაცემები
		მაჩვენებელი	N/A	40%	60%	70%	
რისკი	ეკონომიკური არასტაბილურობა და საინვესტიციო რისკები						
ამოცანა 2.2		**ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია მუნიციპალური სპორტული სერვისების განვითარებით**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1	სპორტში ჩართული მოსახლეობის პროცენტული წილი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	სტატისტიკური მონაცემები
		მაჩვენებელი	30%	40%	50%	60%	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.2	გულსისხლძარღვთა, მეტაბოლური, ძვალკუნთოვანი, ფსიქიკური და ონკოლოგიური დაავადებების მომართვიანობის შემცირებული პროცენტული წილი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	სტატისტიკური მონაცემები
		მაჩვენებელი	40%	30%	20%	10%	
რისკი	ეკონომიკური არასტაბილურობა და საინვესტიციო რისკები						
ამოცანა 2.3		**ქალაქის ტურისტული პოტენციალის გამოყენება**					
ამოცანის შედეგის	შემოსული ტურისტებისა და ვიზიტორების მაჩვენებლის ზრდა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	

ინდიკატორი 2.3.1		მაჩვენებელი	N/A	40%	50%	60%	ტურიზმის სააგენტოს სტატისტიკური მონაცემები
რისკი	ეკონომიკური არასტაბილურობა და საინვესტიციო რისკები						
მიზანი 3		**მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების გაუმჯობესება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	მიზანი 8 მიზანი 9 მიზანი 11
გავლენის ინდიკატორი 3.1	მუნიციპალური სერვისებით მოქალაქეების კმაყოფილების მაჩვენებელი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	ჩატარებული კვლევის შედეგები
		მაჩვენებელი	20%	45%		80%	
გავლენის ინდიკატორი 3.2	მუნიციპალიტეტის მმართველობითი პროცესის ეფექტიანობის მაჩვენებელი (დრო, რესურსი)		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	ჩატარებული კვლევის შედეგები
		მაჩვენებელი	20%	45%		80%	
ამოცანა 3.1		**ჭკვიანი ქალაქის კონცეფციის შესაბამისად მუნიციპალური სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1	მუნიციპალურ სერვისებზე წვდომის მქონე მოსახლეობის წილი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	სტატისტიკური მონაცემები
		მაჩვენებელი	20%	40%	50%	80%	
რისკი	მაღალი ფინანსური რესურსი						

ამოცანა 3.2		**მოქალაქეებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1	უსაფრთხო ქალაქის შექმნის მიზნით განხორციელებული პროექტების მაჩვენებლის ზრდა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	სტატისტიკური მონაცემები
		მაჩვენებელი	5%	10%	50%	70%	
რისკი	მაღალი ფინანსური რესურსი						

6. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოები, გრძელვადიანი განვითარების კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში ჩამოყალიბებული სტრატეგიული ხედვისა და ამოცანების მიღწევის მიზნით, უზრუნველყოფენ, როგორც საკუთარი უფლებამოსილების სფეროში განსაზღვრული აქტივობების სისტემატიურ და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას, ასევე ინიცირებენ თანამშრომლობის გაძლიერებას ცენტრალურ მთავრობასთან, რაც უზრუნველყოფს ინიციატივების ადგილობრივ დონეზე ეფექტურ იმპლემენტაციას, კოორდინაციასა და მხარდაჭერას.

სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელია რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულოსთან კოორდინაციით. სტრატეგიისა და მისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის პასუხისმგებელ უწყებებად ასევე განსაზღვრულნი არიან საქართველოს სამინისტროები და სხვა სახელმწიფო უწყებები, ცალკეული აქტივობების შესაბამისად.

მერია წარმოადგენს სტრატეგიის განხორციელების ოპერაციულ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად სამოქმედო გეგმის შესრულებას, შიდა კოორდინაციასა და სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობას. სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეკრება განსაზღვრულია წელიწადში ორჯერ, ხოლო ტექნიკური ჯგუფისთვის - კვარტალურად. სტრატეგია არ მოიაზრება სტატიკურ დოკუმენტად, პოლიტიკის ციკლის განხორციელების შესაბამისად, მასში შესაძლებელია ცვლილელების ასახვა ახალ გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ სამუშაო ჯგუფის კოორდინაციით წლიურ ანგარიშებსა და შუალედური შეფასების ანგარიშში მიღწეული შედეგისა და გამოვლენილი გამოწვევების შესაბამისად, შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. სამუშაო ჯგუფის ინიციატივით მოხდება ასევე მომდევნო სამოქმედო გეგმების მომზადება. სტრატეგიის განხორციელების პროცესში ყურადღება დაეთმობა ფართო საზოგადოების მონაწილეობას, განსაკუთრებით კი ქალთა, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის მხარდაჭერას.

სტრატეგიის მიზნების და ამოცანების დაფინანსება 2026-2037 გათვალისწინებულია სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, აგრეთვე შესაძლებელია დამატებითი რესურსების მოძიება განვითარების პარტნიორების მხარდაჭერით. რუსთავის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების საპროგნოზო

ბიუჯეტია **1,373,704,635** ლარი. ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, დეფიციტური თანხების მოძიება მოხდება განვითარების პარტნიორების, ევროკავშირის და სხვა დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით. რეალისტური სცენარის შემთხვევაში, აქტივობების ნაწილი, რომლისთვისაც თანხები არ იქნება მოძიებული, დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ დამატებითი საბიუჯეტო რესურსების გამოყოფის გზით ან გადავა მომდევნო სამოქმედო გეგმებში. პესიმისტური სცენარის შემთხვევაში კი აქტივობების ნაწილი აქტივობები ვერ განხორციელდება ფინანსური რესურსების არარსებობის გამო.

რუსთავის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 დადგენილება „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების პროგრამის შედგენის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად. მონიტორინგის ფარგლებში მოხდება პოლიტიკის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა და აქტივობებში ცვლილებების შეტანა, აგრეთვე რესურსების გადანაწილება, დამატებითი სახსრების მოზიდვის ან შემცირების მიმართულებით. მონიტორინგის სისტემა ემსახურება სტრატეგიული ხედვის მიღწევის პროგრესის სისტემატურ შეფასებასა და ხარვეზების დროულ გამოვლენას. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის განმახორციებელი სტრუქტურა არის რუსთავის მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზზე. თითოეული მიმართულების და პროგრამის ფარგლებში შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს აქტივობების შესრულების სისტემატურ ანგარიშგებას, რაც მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებს, ინდიკატორების შესრულებასა და მიღწეულ შედეგებს. კონსოლიდირებული სტატუს ანგარიშის საფუძველზე სამუშაო ჯგუფი მოამზადებს ექვსთვიან პროგრეს ანგარიშებს და წლიურ ანგარიშებს. პროგრეს ანგარიშები მოიცავს მონაცემებს 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდისთვის, ხოლო წლიური ანგარიშები – მიმდინარე საანგარიშო პერიოდის 31 დეკემბრის ჩათვლით. პასუხისმგებელი უწყებები საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებ მონაცემებს სტატუს ანგარიშების ფორმით სამუშაო ჯგუფს გაუგზავნიან არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 ივლისისა პროგრეს ანგარიშის შემთხვევაში და 15 თებერვლისა წლიური ანგარიშის შემთხვევაში. მონიტორინგის პროცესის პარალელურად, სტრატეგიის შუალედური შეფასება ჩატარდება 2-ჯერ - 2029 და 2033 წელს. 2037 წელს კი სამუშაო ჯგუფის კოორდინაციით განხორციელდება დოკუმენტის საბოლოო შეფასება შერეული შეფასების ფორმით. შეფასებაში ჩართული იქნებიან როგორც მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები, ისე გარე დამოუკიდებელი შემფასებლები.

სტრატეგიის პროგრესის გასაზომად შესაბამისი ჯგუფი ინფორმაციას ინდიკატორების შესრულებასთან დაკავშირებით გამოიყენებს შემდეგი წყაროებიდან: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი); სახელმწიფო სერვისების სააგენტოები (სოციალური, ჯანდაცვა, განათლება); მერიის სამსახურების ადმინისტრაციული მონაცემები; მოსახლეობის კმაყოფილების კვლევები; ახალი მონაცემების გამოყენება, რომელთა წარმოება მოხდება საჭიროებისამებრ, დონორთა მხარდაჭერით.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების შესახებ დაინტერესებული მხარეებისა და ფართო აუდიტორიის ინფორმირების მიზნით სტრატეგიის დოკუმენტი და მისი სამოქმედო გეგმების პროექტები, მონიტორინგის წლიური ანგარიშები და შუალედური და საბოლოო შეფასების ანგარიშები რუსთავის მუნიციპალიტეტი იღებს პასუხისმგებლობას უზრუნველყოს რეგულარული და დროული კომუნიკაცია მოსახლეობასა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ამ პროცესის ფარგლებში, თითოეულ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და თვალყური ადევნოს სტრატეგიის განხორციელების მიმდინარეობას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მუნიციპალიტეტმა შექმნა სპეციალური საჯარო პლატფორმა(https://rustavi.gov.ge/strategy/#), სადაც განთავსებულია ინფორმაცია სტრატეგიის შესახებ, მათ შორის სამოქმედო გეგმა და ასახულია განხორციელების პერიოდული პროგრესი. ეს პლატფორმა ემსახურება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებას.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების კალენდარი			
ანგარიშის ტიპი	ანგარიშების მომზადების თარიღი/პერიოდულობა	საანგარიშო პერიოდი	გაზიარების/საჯარო გამოქვეყნების ვადა
მონიტორინგი			
პროგრეს-ანგარიში	საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ (ივლისი-აგვისტო)	6-თვიანი პერიოდი (იანვარი-ივნისი)	მოცემული წლის 31 აგვისტო
წლიური ანგარიში	საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ (იანვარი-თებერვალი)	1-წლიანი პერიოდი	მოცემული წლის 28 თებერვალი

		(იანვარი-დეკემბერი)	
შეფასება			
შუალედური შეფასება	2030 წელი	4-წლიანი პერიოდი (2026 წლის იანვრიდან 2029 წლის დეკემბრის ჩათვლით)	2030 წლის 30 ივნისი
შუალედური შეფასება	2034 წელი	4-წლიანი პერიოდი (2030 წლის იანვრიდან 2033 წლის დეკემბრის ჩათვლით)	2034 წლის 30 ივნისი
საბოლოო შეფასება	2038 წელი	12-წლიანი პერიოდი (2026 წლის იანვრიდან 2037 წლის დეკემბრის ჩათვლით)	2038 წლის 30 ივნისი